26/08/2024

MES 4 24 0001012685

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 23 აგვისტოს 11:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=89529199649
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო ) წევრები:***

**შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
**ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ტიტე ბოლქვაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
**გიორგი ვეკუა -** სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია** -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
**ნატალია კვაჭანტირაძე**- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**ვალერი გულბანი -** ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი -** ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**დავით ჯინჭარაძე**- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.
**ნინო ველთაური -** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

*სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:*

**ნანი დალაქიშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ციხისელი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნინოხელაძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნონა საათაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ელისო ბარბაქაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ლელა კიკნაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
**ლონდა მინდიაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

*საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:*

- ნინო ხაჩიძე
- ფრიდონ გოგიაშვილი
- ელენე ბოდაველი
- ნათია ბუთხუზი
- ნიკა ჯიაძე
- ეკატერინე გიგაშვილი
- ირმა ღარიბაშვილი
- დავით გუდაძე
- ალინა კუპრავა
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ზურაბ მესხიძე
- თათია გივიშვილი
- ქეთევან ანთაძე
- დავით ბიტმალკიშევი
- მანანა მახარაშვილი
- შორენა ხუბუნაია
- მაია ომიაძე

*საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:*

**შპს ნიუ მეჯიქი**
დირექტორი - ლევან ტაკიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნატალია ბარათელი

**სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი**
დირექტორი - ნადეჟდა მანჯავიძე
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თამარ სოსანიძე

**სსიპ - კოლეჯი "ბლექსი"**
დირექტორი - გიორგი გოგიტიძე
დირექტორის მოადგილე - მაია თოიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ბიძინა კირთაძე
ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი - ინგა ლომთათიძე

**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**
დირექტორი - მანანა მოისწრაფიშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - შოთა მარგიშვილი

**სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**

მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის უფროსი - ლიკა ქათამაძე
პროფესიული საგანმანათლბლო პროგრამების მენეჯერი - ირინა ინწკირველი
საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის უფროსი - ნინო ხორავა
ფოთის ფილიალის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ანა ჩიჩუა
ფოთის ფილიალის უფროსის მოადგილე - თინათინ ტაბაღუა
"ტვირთების ექსპედირება" პროგრამის ხელმძღვანელი - ნინო კვარაცხელია
„საწყობის ოპერირება“ პროგრამის ხელმძღვანელი - ბაჩანა მარკელია
„ელექტროობა" პროგრამის ხელმძღვანელი - ნიკოლოზ კვარაცხელია
„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“- ზურაბ გუნია

**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - ხათუნა მხეიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი - თამარ აფციაური
სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი - ეკატერინე ნარეშელაშვილი
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი - გიორგი აბრამიშვილი
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ნია ნათბილაძე
"ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - ნათია ბუთხუზი

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
თსუ-ს რექტორის მოადგილე - კახაბერ ჭეიშვილი

თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - შოთა ფოთოლაშვილი
თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - ლევან წიქარიძე
თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - სოფიო კაკაურიძე

**შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი**

დირექტორი - თამარ გუდავაძე
დირექტორი სასწავლო დარგში - თამარ გელიაშვილი
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ვარლამ ავალიშვილი

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 11:05 საათი.**

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**დღის წესრიგი:**
1. ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2023 წლის 15 დეკემბერს შპს ნიუ მეჯიქისთვის მონიტორინგის შუამდგომლობასთან დაკავშირებით მონიტორინგის ვადის და მონიტორინგის ფორმის დაზუსტების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2022 წლის 5 დეკემბერს ჩანიშნული მონიტორინგის ვადის გადაწევის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ფოთი);
7. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ფოთი);

8. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ფოთი);
9. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ფოთი);
10. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
12. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
13. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
14. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „Front end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
15. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „Front end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
16. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „საექთნო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. თბილისი);
17. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესე ბულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.**

**ცენტრს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდა.**

**პირველი საკითხი:** ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2023 წლის 15 დეკემბერს შპს ნიუ მეჯიქისთვის მონიტორინგის შუამდგომლობასთან დაკავშირებით მონიტორინგის ვადის და მონიტორინგის ფორმის დაზუსტების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, საქმე ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე დღის წესრიგის მეორე საკითხად განხილულ შპს ნიუ მეჯიქის ავტორიზაციის შესახებ საკითხს, რომლის განხილვის დასასრულს, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით 2.2 კომპონენტში „ფარმაცია (საafთიაქოს)" პროგრამის ფარგლებში, ასევე, 3.2, 4.1 და 5.2 კომპონენტების ნაწილში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტების გამოთხოვა. მონიტორინგის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 20 მაისი.

2024 წლის 21 მაისს შპს ნიუ მეჯიქს ცენტრიდან გაეგზავნა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N550203 - 21.05.24), რომლითაც ცენტრმა მოითხოვა „ფარმაცია(საafთიაქო)" პროფესიული პროგრამისათვის 2.2 კომპონენტის, ასევე 3.2, 4.1 და 5.2 კომპონენტების სტანდარტთან შესაბამისობის შესრულების მტკიცებულებები (თითოეულ ინდიკატორთან მიმართებაში). აღნიშნული წერილის პასუხად, 2024 წლის 03 ივნისს შპს ნიუ მეჯიქმა ცენტრში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტის, მე-3 სტანდარტის 3.2 კომპონენტის, მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტის და მე-5 სტანდარტის 5.2 კომპონენტის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიში შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად (ცენტრში რეგისტრაციის N613610 - 03.06.24; N612706 - 03.06.24).
რამდენადაც საბჭოს სხდომის ოქმში მონიტორინგთან დაკავშირებით იყო ჩანაწერი „დოკუმენტების გამოთხოვა", სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები, არ ჩათვალა მიზანშეწონილად ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, რადგან 2.2.1.1. ინდიკატორის ნაწილში დაფიქსირებული მეტწილი შესაბამისობაც არ საჭიროებდა ადგილზე ვიზიტს, მომზადდა ანგარიში, თანდართული ცხრილით და სამსახური წარუდგენს საბჭოს ამ ცხრილს, როგორც დასკვნას და ითხოვს, თუ ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ , საბჭო ჩათვლის მონიტორინგის მიზნით ვიზიტის ჩანიშვნას, ამის თაობაზე დამატებით გაიცეს შუამდგომლობა, მონიტორინგის ფორმისა და ვადის თაობაზე.
**დასკვნა შემდეგია: 2.2.1.1** ინდიკატორის ნაწილში ექსპერტების მხრიდან გაცემული იყო შემდეგი სახის რეკომენდაცია: - ,,პროგრამით გათვალისწინებული სამი მოდულის („მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება", „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი", „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში") სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით''. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკი ცებულებები,** კერძოდ მოდულები: „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება", „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი", „სანიტარიულ - ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში" განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები, სადაც

მითითებულია პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსი, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
**3.2.1.4** ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაცია: ,,დაწესებულებამ შექმნას სტუდენტთა დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი". **შპს ნიუ მეჯიქმა წარმოადგინა განხორციელებული აქტივობის შესახებ ინფორმაცია შესაბამის მტიკებულებასთან ერთად.** დაწესებულებამ შეიმუშავა სტუდენტური ინიციატივების (პროექტების) დაფინანსების წესი და პროცედურა, სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის (საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული) პროექტის ფინანსური რესურსების ხარჯვაზე გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურები.
4.1. კომპონენტის ნაწილში, **4.1.1.2** ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი სახის რეკომენდაცია - ,,დაწესებულებამ მოახდინოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ისე, რომ უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობის გამართული განხორციელება. ამისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ბრძანებები, ეს ცვლილებები უნდა აისახოს ხელშეკრულებებშიც და შესაბამის სამუშაო აღწერილობებში",
**4.1.1.3** ინდიკატორთან მიმართებით გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაცია - ,,დაწესებულებამ გადაამუშაოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მატერიალური რესურსის გამოყენების წესი. რათა გამოირიცხოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტები'',
**4.1.2.2** დაწესებულებას მიეცა შემდეგი სახის რეკომენდაცია - ,,დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შერჩევის ისეთი პროცედურები, რაც უზრუნველყოფს კადრების დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. ასევე დაქირავებული პირების მხრიდან მიიღოს თანხმობა პირადი ინფორმაციის დამუშავებაზე. ეს ყოველივე აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში',
**4.1.2.3** ინდიკატორს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ასეთია -,, დაწესებულებამ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა და მოთხოვნების შესაბამისი კადრების დანიშვნა".
**4.1 კომპონენტის ზემოაღნიშნული ინდიკატორების მიმართებით შპს ნიუ მეჯიქმა წარმოადინა შესრულებული**
**აქტივობები შესაბამის მტიკებულებებთან ერთად,** კერძოდ: სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, სამუშაო აღწერილობების გათვალისწინებით განხორციელდა საკადრო ცვლილებები, თანამშრომლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია შრომის კოდექსის დაცვით. კოლეჯმა იმსჯელა ექსპერტთა რეკომენდაციის შესახებ და განახორციელა შესაბამისი ცვლილებები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესსა და მატერიალური რესურსების გამოყენების წესში. დაწესებულებამ შეიმუშავა შრომითი ხელშეკრულების ნიმუში საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით. თანამშრომლების შრომით ხელშეკრულებებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. ამასთან პერსონალმა თანხმობა განაცხადა პირადი ინფორმაციის დამუშავების შესახებ. ყოველივე ეს ასახულია პერსონალის პირად საქმეებში. ასევე, კოლეჯმა გადახედა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და განახორციელა საკადრო ცვლილებები რიგ პოზიციებზე, პერსონალის გამოცდილება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოყვანილი.
**5.2.2.2** ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი სახის რეკომენდაცია - დაწესებულებამ ,,უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების გამოყენება'',. დაწესებულება ჩართულია მართვის ელექტრონული სისტემაში (eFlow), მტიკცებულების სახით შპს ნიუ მეჯიქმა წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში გამოგზავნილი წერილები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა წევრებს, იყო თუ არა მათთვის საკმარისი მიწოდებული ინფორმაცია და თვლიდნენ თუ არა, რომ შპს ნიუ მეჯიქში უნდა განხორციელებულიყო მონიტორინგის ვიზიტი. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ არ მიაჩნიათ საჭიროდ ვიზიტის ჩანიშვნა, მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული მეტწილი შესაბამისობების გამოსასწორებლად საკმარისი აქტივობები განახორციელა და წარმოდგენილი მტკიცებულებები დამაჯერებელია.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო იღებს წარმოდგენილ ინფორმაციას ცნობად და არ მიაჩნია საჭიროდ მონიტორინგის ვიზიტის ჩანიშვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2023 წლის 15 დეკემბერს შპს ნიუ მეჯიქისთვის მონიტორინგის შუამდგომლობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

**მეორე საკითხი:** სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2022 წლის 5 დეკემბერს ჩანიშნული მონიტორინგის ვადის გადაწევის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, საქმე ეხებოდა 2022 წლის 05 დეკემბერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) დღის წესრიგის პირველ საკითხად განხილულ სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში განხორციელებული ავტორიზაციის შესახებ საკითხს, რომლის შესახებ საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით პირველ, მე - 3, მე - 4 და მე - 5 სტანდარტის მიმართულებით სრულად, ხოლო მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვრა 2024 წლის 07 ივნისი (ოქმი N1621600 - 19.12.2022).
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ 2024 წლის 10 ივნისს N640900 სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს გაეგზავნა წერილი, რომლის თანახმადაც, კოლეჯს უნდა წარმოედგინა შესრულების მტკიცებულებები (თითოეულ ინდიკატორთან მიმართებაში). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 21 ივნისს სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯმა წარმოადგინა წერილი N726507, სადაც აღნიშნულია, რომ კოლეჯმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობისთანავე, შეიმუშავა და 2022 წლის 10 ნოემბრის N1/97 ბრძანებით დაამტკიცა სტანდარტებთან მეტწილი და/ან ნაწილობრივი გაუმჯობესების გეგმა. გეგმაში გაწერილია ყველა ის კომპონენტი, რომელთა გამოსწორებაზე მუშაობა იყო საჭირო, ასევე გაწერილია შესაბამისი ვადებიც. მეხუთე სტანდარტის შესაბამისად, კოლეჯს მოწყობილი უნდა ჰქონდეს ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის. დაწესებულება განმარტავს, რომ კოლეჯი მდებარეობს ისტორიულ შენობაში, შენობაში არსებული კიბე რკინა-ბეტონისაა და წარმოადგენს ერთმარშიან, ნახევრად წრიულ ფორმას. კიბის გვერდით არსებული თავისუფალი სივრცე მხოლოდ 0,83X1,49 მ -ია, ხოლო კიბის რთული გეომეტრიული ფორმიდან გამომდინარე, ბაქან-ლიფტიც ძნელად მოსარგებია, თუმცა შენობის პირველ სართულზე მოწყობილია გარემო შშმ პირთა დაუბრკოლებლად გადაადგილებისა და მეცადინეობისათვის. შენობის პირველი სართულის ნახევარი სსიპ-ქ. გორის ქალთა კამერული გუნდის მფლობელობაშია. ამასთან, სამეფოს ქუჩა, სადაც კოლეჯის შენობა მდებარეობს, მთლიანად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა გამოცხადებული, რაც გამორიცხავს ქუჩის მხრიდან ლიფტის კონსტრუქციის მიშენებას, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლიფტის მოსაწყობად სპეციალისტების მიერ ვერ გამოიძებნა შესაბამისი არეალი: ერთადერთი გამოსავალია, მოხდეს მიშენება ან შენობის რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი. კოლეჯის პროგრამულ დაფინანსებას 2019 წლიდან უზრუნველყოფდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. 2023 წლიდან კოლეჯის დამფუძნებლად განისაზღვრა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თუმცა, განსაზღვრის შემდეგ ერთი წლით, 2024 წელს, კოლეჯის პროგრამული დაფინანსება კვლავ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ხორციელდება, რომლის მხრიდანაც ინფრასტრუქტურულ პროექტების დაფინანსება ვერ ხერხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯის დირექციამ წერილობით მიმართა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრს, აღნიშნული წერილის პასუხად 2024 წლის 19 ივნისის N00021465 წერილით სამინისტრომ სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს, აცნობა რომ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის პრიორიტეტულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და მათთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯში ადაპტირებული გარემოს შექმნის საკითხი აუცილებლად განიხილება 2025 წლის საბიუჯეტო პარამეტრებზე მუშაობისას. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯს გააჩნია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა, დარჩენილია მხოლოდ სახანძრო-საევაკუაციო კიბის მიშენება, რათა კოლეჯმა მოიპოვის დადებითი დასკვნა, რაც შეეხება მეტალოკონსტრუქციის კიბის მოწყობას, კოლეჯმა შეარჩია შენობის უკანა ეზოს მხარე, კოლეჯის დირექციამ სამონტაჟო სამუშაოების დასაწყებად ნებართვისთვის მიმართა გორის მუნიციპალიტეტის მერიას. შენობის ისტორიულ უბანში მდებარეობის გამო, მერიამ წარდგენილი დოკუმენტაცია შესათანხმებლად გააგზავნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ სამსახურში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, რაც დაწესებულების განმარტებით გაურკვეველი ვადით აფერხებს ტენდერის გამოცხადებას და სამუშაოების დაწყებას.

ნანი დალაქიშვილის მიერ საბჭოს მიეწოდა დაწვრილებითი ინფორმაცია სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში არსებული მდგომარეობის შესახებ, რათა გადაწყვეტილიყო საკითხი მონიტორის ვადის გადაწევასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად კოლეჯში და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, თუ რის გაკეთებას აპირებს დაწესებულება არსებული ვითარების გამოსწორების მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ამჟამად დაწესებულებას თანხა აქვს მობილიზებული სახანძრო კიბის გასაკეთებლად, თუმცა შენობის ისტორიული სტატუსის გამო დაწყებულია ქალაქის მერიასთან ერთად საკითხის ირგვლივ შესაბამისი უწყებებიდან თანხმობის მიღების პროცედურები, რაც შეეხება დანარჩენს, მეორე სართულის ლიფტით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, საჭირო თანხები უკვე ჩადებულია 2025 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის პროექტში და გარკვეული დროის შემდეგ ეს ყველაფერიც მოწესრიგდება.
საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ვინაიდან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის სასწავლო დაწესებულების არსებობა, და ვინაიდან ამჟამად ზემოთ აღნიშნული პროცესები პირდაპირ არ ახდენს ზეგავლენას დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხზე, შეგვიძლია დაწესებულებას მოვთხოვოთ 6 თვეში წარმოადგინოს შუალედური ანგარიში მიმდინარე მდგომარეობის აღწერით, ხოლო ყველა ჩამოთვლილი პრობლემის შესაბამისი აღმოფხვრის ღონისძიებების დასრულებისთანავე მოგვაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი მტკიცებულებებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2022 წლის 5 დეკემბერს ჩანიშნული მონიტორინგის ვადის გადაწევის შესახებ საკითხი.

**საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში, დაევალოს დაწესებულებას 6 თვის შემდეგ წარმოადგინოს შუალედური ანგარიში მიმდინარე მდგომარეობის აღწერით, ხოლო ყველა ჩამოთვლილი პრობლემის აღმოფხვრის ღონისძიებების დასრულებისთანავე მოაწოდოს ცენტრს და საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი მტკიცებულებებით.**

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

**მესამე საკითხი:** სსიპ - კოლეჯი "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, საქმე ეხებოდა მიმდინარე წლის 03 ივლისს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შემოსულ სსიპ კოლეჯი "ბლექსის" წერილს N798505, რომელშიც ასახულია, რომ დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები" მიღება არ გამოუცხადებია ბოლო 3 წლის პერიოდში, შესაბამისად, არ განხორციელებულა პროგრამაში ცვლილება და 2021 წელს დამტკიცებული ,,სამოქალაქო განათლების" მოდულის ასახვა. კოლეჯი გეგმავს მიმდინარე წლის საშემოდგომო მიღების გამოცხადებას აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა "მშენებლობის წარმოება'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული "მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები'' პროგრამის (განხორციელების ორი მეთოდით, როგორც იმიტირებულ გარემოში, ასევე დუალური სწავლების ფორმით) დამტკიცების შესახებ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №MES 5 24 0000792240 ბრძანება პროგრამაში ცლილების შესახებ, ასევე კოლეჯმა წარმოადგინა შეცვლილი პროგრამა, სადაც მოდული "სამოქალაქო განათლება" ასახულია 3 კრედიტის მოცულობით, სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 7 ივნისის №532031 ბრძანების შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის პარამეტრები შემდეგნაირია: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 83 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 98.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი "ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განთლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „ბლექსის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №138 გადაწყვეტილებაში, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეოთხე საკითხი:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს ხათუნა ჩხარტიშვილს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ხაჩიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის 27 მაისს წარდგენილ იქნა განაცხადი ქალაქ თბილისში "ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებული იყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და საფასურის გადახდის ქვითარი, რის საფუძველზეც ცენტრის დირექტორის მიერ 2024 წლის 12 ივნისს გამოიცა ბრძანება ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ,,ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, კოლეჯში ვიზიტის განხორციელება. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 1 ივლისს (ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10). ვიზიტის დასაწყისში გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის N106 ბრძანებით ცვლილება შეიტანა დირექტორის 2024 წლის 14 მაისის N66 ბრძანებაში და პროგრამიდან ამოიღო ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ბლოკი. შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში პროგრამის შეფასება განხორციელდა ინტეგრირებული მოდულების გარეშე. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; პროგრამის ხელმძღვანელთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა

და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება და მის წარმომადგენლებთან გასაუბრება. შესწავლილ იქნა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ასევე შესყიდვის დოკუმენტაცია და მარეგულირებელი აქტები. ვიზიტის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამებული სახით, დაწესებულების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მიეწოდა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები.**

**გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტვირთების ექსპედირება“**

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების შექმნასა და განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და დამფუძნებლის სს „საქართველოს რკინიგზის“ საჭიროებებს, რა მიზნითაც კოლეჯის არსებული რესურსების შეფასების შედეგად, განსაზღვრულ იქნა საერთო კვოტა 70 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. სასწავლო გეგმა გაწერილია 20 თვეზე, რომელიც მოიცავს შესაბამის კვირებს არდადეგებისათვის, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში, სასწავლო გეგმა გაწერილია 25 თვეზე. კოლეჯი გეგმავს ერთ მიღებაზე 40 პროფესიული სტუდენტის 4 ჯგუფად (ჯგუფში 10 პროფესიული სტუდენტი) მიღებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით.

კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს საქართველოს რკინიგზასთან და სს გუდვილთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ტვირთების ექსპედირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 4 პროფესიული მოდულის გარკვეული საათების და მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელშეკრულება მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით და თითოეული ცალ-ცალკე უზრუნველყოფს ერთდროულად არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემოებია:

§ A გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია N407, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა და სკამი, დაფა, კომპიუტერი და პროექტორი;

§ B გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია N401, სადაც განთავსებულია 10 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, დაფა, პროექტორი, კომბაინი;
საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის მიმართ.
საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რას მოიცავდა კომპანია გუდვილთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული კომპანია წარმატებით თანამშრომლობს კოლეჯთან და სხვა პარტნიორების მსგავსად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.
კომპანია გუდვილის წარმომადგენელმა ხათუნა ჩხარტიშვილმა და დარგის ექსპერტმაც დაადასტურეს, რომ სტუდენტები აღნიშნულ კომპანიაში შეძლებენ მიიღონ გამოცდილება ტვირთების გადანაწილების, შეფუთვისა და სხვადასხვა ობიექტზე გადანაწილების საკითხებში.
საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ იყო საკმარისი განმახორციელებელი პირების რაოდენობა შვიდი მოდულის ფარგლებში, მანამ სანამ ძველი პროგრამაც მილევად რეჟიმში იქნებოდა და ხომ არ აღემატებოდა შრომის კოდექსით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას თითოეული განმახორციელებლის ჩასატარებელი საათები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი კოლეჯში დარეგულირებული და გადამოწმებულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს: (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, **(დანართი2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეხუთე საკითხი:** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ „საწყობის ოპერირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დიახ**

**საბჭოს წევრს ხათუნა ჩხარტიშვილს ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე ბოდაველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში - 2024 წლის 1 ივლისს.
ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მათ შორის სს „საქართველოს რკინიგზის“ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელთან, რომელიც უშუალოდაა ჩართული პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიული სტუდენტების განაწილებისა და სხვა საჭირო საკითხების ორგანიზებაში, ასევე თავად პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართული იქნებიან საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესში. განხორციელდა როგორც კოლეჯის, ისე პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოს დათვალიერება და შესწავლა. 2024 წლის 12 ივნისის ბრძანებით ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტპმბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდართებთან შესაბამისობის შეფასება.თუმცა, ვიზიტის დღეს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირების“ მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა, ადგილზე თავიდან შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი და შესაბამისად წარმოადგინა აღნიშნული დასკვნის პროექტი.
**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები.**

**გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.**
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საწყობის ოპერირება“**
ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების შექმნასა და განვითარებას.
,,საწყობის ოპერირების“ საგანმათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული თანხვედრაშია „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2 და B1 გათვალისწინებით და მის გარეშე. პროგრამის პაკეტში

ფიქსირდებოდა რამდენიმე უზუსტობა. მაგალითად. ქართული ენა A2 და B1 გავლის საფუძვლად მითითებული იყო „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მისნიტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისი მუხლები. გასაუბრების დროს, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზს წამოადგენდა და ვიზიტის დროსვე მოახდინეს მისი გამოსწორება. კერძოდ, ქართული ენის მოდულების სწავლების საფუძვლად დოკუმენტში „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანება მიეთითა. ასევე ყველა მოდულის შემთხვევაში მე-4 პუნქტის „დამატებით მიდგომები მოდულის განახორციელებასთან დაკავშირებით“ მითითებული იყო, რომ „მოდულის ყველა სწავლის შედეგი შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, დადასტურება განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე“. აღნიშნული საკითხის განხილვისას კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩანაწერში მოდულის ყველა თეორიული სწავლის შედეგის განხორციელება იგულისხმება და სიტყვა „თეორიული“ მექანიკურადაა გამორჩენილი. აღნიშნული უზუსტობაც ვიზიტის მსვლელობისას გამოსწორდა. ამრიგად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა A, B , C გარემოები. კომპიუტერული კლასი სპეციალური კომპიუტერული უზრუნველყოფითა და თეორიული სწავლების სივრცით, რომელიც აღჭურვილია საჭირო რაოდენობის კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებით, დაფით, ჯგუფში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად (10 პროფესიულ სტუდენტზე). პროგრამას დამატებით ემსახურება საგნობრივი თეორიული სწავლების აუდიტორიები. პროგრამის დამატებისა და განვითარების პროცესში, კოლეჯი ახდენს საჭირო რესურსებისა და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის იდენტიფიცირებას /გადახედვას/შევსებას დარგის მოთხოვნათა შესაბამისად. კოლეჯში მოწყობილია ერთი ინტეგრირებული/სიმულაციური გარემო სადაც გაერთიანებული A, B , C გარემოები. აღნიშნული სივრცის აღჭურვილობა გათვლილია 10 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსების შესაბამისობა მოთხოვნილი ზღვრულ რაოდენობასთან. ასევე განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირების“ განხორციელებაში ჩართულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 13 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 7 დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 70. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამის სპეციფიკასთან დაკავშირებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, სამუშაო ადგილებით, ასლგადამღები აპარატით, პრინტერით, ასაკინძი საშუალებით. დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. კერძოდ, კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზა“-სთან და სს“გუდვილი“-თან ავტორიზაციის ვადით. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის

გათვალისწინებით. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მოკლედ შეეჯამებინა განხილული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ამასთანავე აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა გაცემული რეკომენდაციების ნაწილს უცხო ენის, კერძოდ ინგლისური ენის შესახებ დაფიქსირებულ საკითხს, ასევე დაეთანხმა სასწავლო რესურსის განახლებას და გამრავალფეროვნებას, თუმცა არ დაეთანხმა ექსპერტთა მიერ წამოჭრილ საკითხს სტუდენტის ჩართულობასა და მონაწილეობა თან დაკავშირებით ინდ. გეგმის შემუშავების პროცესში, ვინაიდან ეს დაწესებულებას შინაგანაწესით აქვს დარეგულირებული და დეტალურად აღწერილი, რაც არა ერთგზის კოლეჯის პრაქტიკაშიც ფიქსირდება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „საწყობის ოპერირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს: (ს/კ: 402019917) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეექვსე საკითხი:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ფოთი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დიახ**

**საბჭოს წევრს დავით ჯინჭარაძეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც დავით ჯინჭარაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნიკა ჯიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 3 ივლისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა ვიზიტი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართი: (ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. 24) მიმდინარე წლის 15 ივლისს, ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი თვითშეფასება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმდა დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ დაწესებულების ხელმძღვანელებს, ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი. განხორციელდა ვიზიტი და ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტებთან.
ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტვირთების ექსპედირება“**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია 2017 წლიდან წარმატებით ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება“, რაც გარკვეული წინაპირობაა, რომ დაწესებულებამ დაიმატოს განახლებული პროფესიულისაგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა.,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება შესაბამისობაში დაწესებულებისმისიასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. ,,ტვირთების ექსპედირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის - 40 პროფესიულისტუდენტი (ორ მიღებაზე) განსაზღვრისას დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, ადამიანური დამატერიალური რესურსის რაოდენობა და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობა, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადაგეგმილი აქვს ერთი მხრივ დაწესებულების მფლობელობაში არსებული შემდეგი რესურსით:

A/C სასწავლო გარემო (102 აუდიტორია), რომელიც გამოყენებული იქნება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის მხოლოდ ,,ტვირთებისექსპედირების პროგრამის ფარგლებში. აუდიტორია აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), პროფესიულიგანათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დემონსტირების ციფრული საშუალებით (პროექტორი), დაფით და პროფესიულიდარგობრივი მოდულების განსახორციელებლად საჭირო და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბმისი მატერიალური რესურსით.

B სასწავლო გარემო (309, 310 და 311 აუდიტორია): 309 აუდიტორია - 20 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი); 310 აუდიტორია - 20 სამუშაოადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი), 311 აუდიტორია - 15 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი). სამივე აუდიტორიაში განთავსებულიაპროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დემონსტირების ციფრული საშუალებით (პროექტორი) და პრინტერი.

მეორე მხრივ, პრაქტიკის ობიექტების მფლობელეობაში არსებული რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნითდაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს ,,ექსპრეს ტრანს - შიპმენთ სერვისეზ“, შპს ,,ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“, შპს ,,სოფმარ“ და ,,ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი“. წარმოდგენილი მემორანდუმების თანახმად თითოეულიპრაქტიკის ობიექტი უზრუნევლყოფს ყოველწლიურად არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის მიღებას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულებისბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსს მ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან,რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სასწავლო

პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო.
საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემისსტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, ვერიფიკაცია;
ბ)პროცესის ვერიფიკაცია;
გ)მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს.
პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას: (ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ფოთი) **(დანართი 4).** გადაწყვეტი ლების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეშვიდე საკითხი:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ფოთი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დაიხ

**საბჭოს წევრს დავით ჯინჭარაძეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც დავით ჯინჭარაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნიკა ჯიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 3 ივლისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა ვიზიტი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართი: (ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. 24) მიმდინარე წლის 16 ივლისს, „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.
ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი თვითშეფასება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმდა დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ დაწესებულების ხელმძღვანელებს, ხარისხის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი. განხორციელდა ვიზიტი და ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტებთან. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები, არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -** „საწყობის ოპერირება“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ განხორციელების გადაწყვეტილება შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირების“ განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი,მათ შორის 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, 4 დარგის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. „საწყობის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის - 40 პროფესიული სტუდენტი(ორ მიღებაზე) განსაზღვრისას დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, ადამიანური და მატერიალურირესურსის რაოდენობა და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობა, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადაგეგმილი აქვს ერთი მხრივ დაწესებულების მფლობელობაში არსებული შემდეგი რესურსით:
A/C სასწავლო გარემო (101 აუდიტორია), რომელიც გამოყენებული იქნება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის მხოლოდ „საწყობის ოპერირების“ პროგრამის ფარგლებში. აუდიტორია აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით (პროექტორი), დაფით და პროფესიული დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად საჭირო და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესაბამისი მატერიალური რესურსით.
B სასწავლო გარემო (309, 310 და 311 აუდიტორია): 309 აუდიტორია - 20 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი); 310 აუდიტორია - 20 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი), 311 აუდიტორია - 15 სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი). სამივე აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით (პროექტორი) და პრინტერი.
მეორე მხრივ, პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს ,,ექსპრეს ტრანს - შიპმენთ სერვისეზ“-სა და შპს ,,ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგთან“ მემორანდუმებში განსაზღვრულია წლის განმავლობაში არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტის მიღება, ხოლო შპს „ხალიბთან“ გაფორმებულ მემორანდუმში – არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტის მიღება.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულებისბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსს მ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან,რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო.

საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემისსტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, ვერიფიკაცია;
ბ)პროცესის ვერიფიკაცია;
გ)მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს.
პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას: (ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ფოთი) **(დანართი 5).** გადაწყვეტი ლების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მერვე საკითხი:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ფოთი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს დავით ჯინჭარაძეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც დავით ჯინჭარაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკატერინე გიგაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 3 ივლისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, დაევალა ვიზიტის განხორციელება: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართი ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქუჩა N24. მიმდინარე წლის 15 ივლისს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის დაწესებულების მიერ პირველადი და ხარვეზის გამოსწორების შედეგად გადმოგზავნილი დოკუმენტაცია: განაცხადი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, მარეგულირებელი აქტები, რომლითაც რეგულირდება საზღვაო აკადემიაში პროგრამის განხორციელება და საქმიანობა, ასევე სხვა თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ადგილზე ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა შეხვედრები და ინტერვიუირება საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, იურისტთან, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსთან/სპეციალისტთან, ბიბლიოთეკართან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან. ასევე პრაქტიკის ობიექტების მიხედვით ადგილზე პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენლების და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემოები( A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი) ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეები.

**სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

კომპონენტი 2.2.1 (1) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამაში განსაზღვრული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა. შესაბამისობის გეგმაში, პროგრამაში განსაზღვრული მატერიალურით რესურსით უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრულია 2024 წლის ოქტომბრის ბოლო.

**გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები"**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მე-5 საფეხურის პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება სასწავლო გარემოს, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისიწნებით, მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია A ტიპის სასწავლო გარემოში - რისთვისაც აკადემიის მიერ გამოყოფილია ორი აუდიტორია - №107 და №108. თვითოეულ აუდიტორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 30-ს. აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის საჭირო სკამები და მაგიდები, დემონსტრირების ციფრული საშუალებებით (პროექტორი, კომპიუტერი). აღნიშნულ აუდიტორიებს 2 ცვლაში 60 პროფესიული სტუდენტის გამტარიანობის უნარი აქვს.

ასევე, B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს ყველა პროფესიული პროგრამისთვის საერთო გარემოს. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია - 309, 310, 311. თითოეული აუდიტორია აღჭურვილია 20 პროფესიული სტუდენტის და ერთი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი). სამუშაო სივრცეები აღჭურვილია პრინტერითა და პროექტორით. სამივე აუდიტორიას იორ ცვლაში აქვა 120 პროფესიული სტუდენტის გამტარიანობის უნარი. C ტიპის სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია 210 და 211 აუდიტორიები. ერთ სივრცეში განთავსებულია პირველადი დახმარების ყველა საჭირო ინვენტარი, მათ შორის მულაჟები. ხოლო, მეორე სივრცე აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, სახანძრო სპეც ტანსაცმლით და სხვ. აღნიშნული აუდიტორიები განკუთვნილია სხვადასხვა პროგრამებისთვის და მაქსიმალური კვირეული დატვირთვა არ აღემატება 60 საათს. საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან: - შპს "კავკასიან მეტალს ტერმინალი".

- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.
- შპს "ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი".
- სსიპ-საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახური".
- შპს " შოპმარი".

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული

საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო.
საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, ვერიფიკაცია;
ბ)პროცესის ვერიფიკაცია;
გ)მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს.
პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რას მოიცავდა მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია, თუ რა მატერიალურით რესურსით უნდა მომხდარიყო პროგრამის უზრუნველყოფა 2024 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების მოდულისათვის აუცილებელი საუკეთესო აღჭურვილობით, ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი მოდულის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ მოდულებს, საჭიროა დამატებითი აღჭურვილობა, თუმცა, მათი აღჭურვილობის შეძენა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული დროისათვის არ შექმნის პრობლემას სასწავლო პროცესის უხარვეზოდ განხორციელებაში, ვინაიდან სასწავლო გეგმით იმ მოდულების განხორციელება სწორედ ოქტომბრის თვის შემდეგ არის გაწერილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რა ხდებოდა შესაბამისი აღჭურვილობის შეძენის საკითხთან დაკავშირებით

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ უახლოეს დღეებში მოხდებოდა მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმება და ოქტომბრის ბოლოსთვის კოლეჯს სრულად ექნებოდა საჭირო აღჭურვილობა შეძენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას: (ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ფოთი) **(დანართი 6).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (ქ. ფოთი) 2.2 კომპონენტის ფარგლებში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 24 ოქტომბერი.**

**მეცხრე საკითხი:** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ფოთი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დიახ**

**საბჭოს წევრს დავით ჯინჭარაძეს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც დავით ჯინჭარაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკატერინე გიგაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 3 ივლისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება : სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიში, მისამართი ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქუჩა N24. მიმდინარე წლის 16 ივლისს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „ელექტროობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.
ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის დაწესებულების მიერ პირველადი და ხარვეზის გამოსწორების შედეგად გადმოგზავნილი დოკუმენტაცია: განაცხადი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, მარეგულირებელი აქტები, რომლითაც რეგულირდება საზღვაო აკადემიაში პროგრამის განხორციელება და საქმიანობა, ასევე სხვა თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ადგილზე ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა შეხვედრები და ინტერვიუირება საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, იურისტთან, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსთან/სპეციალისტთან, ბიბლიოთეკართან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან. ასევე პრაქტიკის ობიექტების მიხედვით ადგილზე პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენლების და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემოები( A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი) ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეები.

**სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**
ინდიკატორი 2.2.1.1. - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ „ელექტროობის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო/პრაქტიკის მიზნით გამოყოფილ გარემოში, სასწავლო გარემოს ტექნიკური მახასიათებლებით და C - ელექტროტექნიკოსის ლაბორატორია მინიმალური მატერიალური რესურსით არ არის აღჭურვილი, კერძოდ, გარემოში, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის გამოყენება, დაერთებისთვის გამოყენებულია ელექტრომომარაგების

სუსტი დენები; ელექტრო ენერგიის სიმძლავრე რეალურად არის 220 v. ნაცვლად 380 v. (3-ფაზა). C-სასწავლო გარემოში უნდა განთავსდეს 220/380 V კარადა, სადაც პრაქტიკული მეცადინეობის დროს უნდა მოხდეს ძაბვის დაერთება.
დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც არაუგვიანეს ოქტომბრისა, დაწესებულების მფლობელობაში არსებული შესაბამისი სასწავლო გარემოს აღჭურვა მატერიალური რესურსით სრულად და უსაფრთხოდ განხორციელდება.
აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპონენტი 2.2 ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილად.

**გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“**
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. ელქტროობის მე-3 საფეხურის პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება სასწავლო გარემოს, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს.
პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე A/C და B ტიპის სასწავლო გარემოში.
A/C- სასწავლო გარემოს ლაბორატორია, N 109 -20 სტუდენტზე. აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (20 მაგიდა და სკამი); პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1 მაგიდა და სკამი); დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. სასწავლო გარემოში განთავსებულია: გამოყოფილია სტენდი და სამუშაო ადგილი პრაქტიკული დავალებისთვის; თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია ხელსაწყო მასალა ნედლეული, კერძოდ: ვოლტმერი; ამპერმეტრი ციფრული; ცვლადი დენის კონდესატორი; ერთ სხივიანი ოსცილოგრაფი; ლაბორატორიული რეოსტატი; სიხშირმზომი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების წესები, ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნები. აღჭურვილობა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის და გამოიყენება საწავლო პროცესში. პროგრამის მიზნისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი 2 კომპანიასთან „გაცნობითი პრაქტიკის“ ფარგლებში;
ს/ს “ენერგო-პრო ჯორჯიასთან“. 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც მოქმედებს 3 წლის ვადით. ასევე, „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან“ 10 პროფესიულ სტუდენტზე.
საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო.

საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, ვერიფიკაცია;
ბ)პროცესის ვერიფიკაცია;
გ)მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს.
პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, რას მოიცავდა მათ მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაცია, თუ რა უნდა მოწესრიგებულიყო განხილული პროგრამის ფარგლებში 2024 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის განსახორციელებლად აღჭურვილობის ნაწილში C გარემო - ელექტროტექნიკოსის ლაბორატორია უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ელექტრო მომარაგების სუსტი დენებით 220V-380V კვების კარადით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რა ვითარება იყო კოლეჯში დაფიქსირებულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა აღმოფხვრა აღნიშნული ხარვეზი და შესაბამისი ფოტო-მტკიცებულებებიც გადმოაგზავნა ცენტრში.
დარგის ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ მხოლოდ ფოტო მტკიცებულებებით ვერ მოხდებოდა დასკვნაში აღწერილი მეტწილი შესაბამისობის აღმოფხვრის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას: (ს/კ: 245427337) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ფოთი)**(დანართი 7).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.
**საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში** „ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის (ქ. ფოთი) **2.2 კომპონენტის ფარგლებში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 24 ოქტომბერი.**

**მეათე საკითხი:** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ალინა კუპრავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული

სტანდარტის შემოწმება. ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 18 ივლისს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების თანახმად განხორციელდა სასწავლო გარემოების დათვალიერება-შეფასება, დოკუმენტაციების შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები.**

**გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტვირთების ექსპედირება“**

პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტვირთების ექსპედირება’’ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა დამსაქმებელთა მხარდაჭერის წერილები, კერძოდ: საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანია მინტრანსი, შპს გლობალ ვეილოჯისტიკსი, საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია, ერთხმად აცხადებენ კვალიფიციური კადრების საჭიროებას და მხარს უჭერენ უნივერსიტეტისმიერ აღნიშნული პროგრამის დამატების საკითხს. უნივერსიტეტს-ს ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (ადმინისტრაცია, შესაბამისი კვალიფიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიულიგანათლების მასწავლებლები (17 განმახორციელებელი, მათ შორის 5 დარგობრივი მოდულებისათვის), რომლებიც უზრუნველყოფენ "ტვირთებისექსპედირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას. პროგრამაზე დაშვებისწინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთპირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამითგანსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტვირთების ექსპედირების “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისავისგამოყოფილია AC გარემო(აუდიტორია 656), რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისათვის და მასწავლებლისათვის სამუშაო მაგიდით,სკამით, ასევე აუდიტორიაში განთავსებულია დემონსტრირების საშუალება - მონიტორი, პრინტერი და პროგრამის სპეციფიკით განსაზღვრული სხვამატერიალურ-ტექნიკური რესურსები, გათვლილია ერთ ცვლაში 15 პროფესიულ სტუდენტზე, B გარემო (აუდიტორია 567), აღნიშნული გარემოუზრუნველყოფილია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით და ინდივიდუალური კომპიუტერული ტექნიკით, რომლებიც აღჭურვილიაპროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამებით(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N05-03/234-2024 ხელშეკრულება).დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულფასოვანი განხორციელების მიზნით პრაქტიკის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:„შპს მინიმარტი“ - მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა“ , სწავლის შედეგი 4 : სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ორგანიზება, მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო

საქმიანობის განხორციელება“ - სწავლის შედეგი 2: ტვირთისგადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სწავლის შედეგი 3: გადაზიდვების პროცესის ორგანიზება განხორციელების შესახებ,მემორანდუმის საფუძველზე უზრუნველყოფილია ერთდროულად 15 სტუდენტის მიღება, პროგრამის ფარგლებში სულ 30 სტუდენტის მიღება. საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაცია -- მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა“ , სწავლის შედეგი 4 :სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ორგანიზება, მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება“ - სწავლისშედეგი 2: ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სწავლის შედეგი 3: გადაზიდვების პროცესის ორგანიზებაგანხორციელების შესახებ, მემორანდუმის საფუძველზე უზრუნველყოფილია ერთდროულად 15 სტუდენტის მიღება, პროგრამის ფარგლებშისულ 30 სტუდენტის მიღება.
საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის მიმართ.
საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, ექსპედიტორთა ასოციაციასთან დადებულ პარტნიორობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდებოდა მათთან სტუდენტების მიერ პრაქტიკის ნაწილში ურთიერთობა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპედიტორთა ასოციაცია სტუდენტებს დააკავშირებს შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებლებთან, რომლებიც ამ ასოციაციის წევრები არიან და ეს ყველაფერი შემდგომ დაწესებულების ხელშეწყობით მათი დასაქმების საკითხსაც შეუწყობს ხელს.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი გაეკეთებინა აღნიშნულ საკითხზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს და ხაზი გაუსვა იმას, რომ ნამდვილად ტექნიკური უნივერსიტეტი სტუდენტთა დასაქმებაზეა ორიენტირებული და ამ კუთხით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს: (ს/კ: 211349192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, **(დანართი 8).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**საბჭოს სხდომა დატოვა რუსუდან გიგაშვილმა.**
**მეთერთმეტე საკითხი:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს ტიტე ბოლქვაძეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 18 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ქ. ქუთაისში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა დასკვნა.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საწყობის ოპერირება“**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული აქვს პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას ითვალისწინებს როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე, B და C სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებელს (გამტარუნარიანობას). ამასთან, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია პროგრამის ორ ცვლაში (დილას, საღამოს) განხორციელების შესაძლებლობა. თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევში №8-ში განლაგებულ ფილიალში მოწყობილი აქვს A და B გარემო 20-20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოებში განთავსებულია სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, საწყობის ოპერირებისთვის განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობა. პროფესიული პროგრამის „საწყობის ოპერირების“ A, B და C გარემო იძლევა საშუალებას, ერთ ცვლაში ისწავლოს 20-მა, ორ ცვლაში შესაბამისად - 40-მა პროფესიულმა სტუდენტმა. ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას ქ. ქუთაისში შპს „დეილისთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც არის დარეგულირებული პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების

ვერიფიკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაწესებულების ინფორმაციით, 2022-23 წლებში თსუ პროფესიული განათლების ცენტრში ვერიფიკაციის პროცესის წარმატებული პრაქტიკა დაინერგა. კერძოდ, ქ. ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო პროცესში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია ხორციელდება ქ. თბილისის ლოკაციის ადამიანური რესურსის (მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციული პერსონალის) მიერ და პირიქით. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, რათა კომენტარი გაეკეთებინა შერჩეული პრაქტიკის ობიექტების შესახებ.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პრაქტიკის ობიექტები დაწესებულებას აბსოლუტურად რელევანტურად აქვს შერჩეული მათი კომპლექსურობის გათვალისწინებით. სტუდენტებს რაც კი შეიძლება პროგრამის პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში დასჭირდეთ ყველა ოპერაციის განხორციელება ხდება მათთან, ასევე შემდგომში გათვალისწინებულია სტუდენტთა დასაქმების საკითხიც.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მოკლედ შეეჯამებინა განხილული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ობიექტური შეფასებისათვის, ასევე საბჭოს მხარდაჭერისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწყობის ოპერირება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ქუთაისი) **(დანართი 9).** გადაწყვეტ ილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეთორმეტე საკითხი:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „ტვირთების ექსპედირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს ტიტე ბოლქვაძეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 17 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ქ. ქუთაისში.
დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა დასკვნა.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ტვირთების ექსპედირება"**
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული აქვს პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების

წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას ითვალისწინებს როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე, B და C სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებელს (გამტარუნარიანობას). ამასთან, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია პროგრამის ორ ცვლაში (დილას, საღამოს) განხორციელების შესაძლებლობა. თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევში №8-ში განლაგებულ ფილიალში მოწყობილი აქვს A და B გარემო 20-20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოებში განთავსებულია სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, განსაზღვრული აღჭურვილობა. პროფესიული პროგრამის „ტვირთების ექსპედირების“ A, B და C გარემო იძლევა საშუალებას, ერთ ცვლაში ისწავლოს 20-მა, ორ ცვლაში შესაბამისად - 40-მა პროფესიულმა სტუდენტმა. ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას ქ. ქუთაისში შპს „დეილისთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც არის დარეგულირებული პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 მასწავლებელი, აქედან 7 განახორციელებს ზოგად, ხოლო 4 - პროფესიულ მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაწესებულების ინფორმაციით, 2022-23 წლებში თსუ პროფესიული განათლების ცენტრში ვერიფიკაციის პროცესის წარმატებული პრაქტიკა დაინერგა. კერძოდ, ქ. ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო პროცესში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია ხორციელდება ქ. თბილისის ლოკაციის ადამიანური რესურსის (მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციული პერსონალის) მიერ და პირიქით. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ვერიფიკაციის

პროცესის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მოკლედ შეეჯამებინა განხილული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ობიექტური შეფასებისათვის, ასევე საბჭოს მხარდაჭერისთვის. მისი განცხადებით უნივერსიტეტი ცდილობს და მომავალშიც ყოველთვის იზრუნებს იმაზე, რომ პროფესიული განათლება მაღალ დონეზე მიმდინარეობდეს და მოხდეს მისი სრულფასოვანი ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სივრცეში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ქუთაისი) **(დანართი 10).** გადაწყ ვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეცამეტე საკითხი:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს ტიტე ბოლქვაძეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფისშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 15 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ქ. ქუთაისში. წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ავტორიზაციის ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი, დოკუმენტაცია და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.
**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“**
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული აქვს პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას ითვალისწინებს როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე, B და C სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ

მაჩვენებელს (გამტარუნარიანობას). ამასთან, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია პროგრამის ორ ცვლაში (დილას, საღამოს) განხორციელების შესაძლებლობა. თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევში №8-ში განლაგებულ ფილიალში მოწყობილი აქვს A და B გარემო 20-20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოებში განთავსებულია სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, განსაზღვრული აღჭურვილობა. პროფესიული პროგრამის „საექთნო განათლება" A, B და C გარემო იძლევა საშუალებას, ერთ ცვლაში ისწავლოს 20-მა, ორ ცვლაში შესაბამისად - 40-მა პროფესიულმა სტუდენტმა. ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც არის დარეგულირებული პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. „შპს დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი"(40 სტუდენტი), შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (40 სტუდენტი), სს „საქართველოს კლინიკები"-ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი (40 სტუდენტზე).
პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 53 მასწავლებელი, აქედან 7 განახორციელებს ზოგად, ხოლო 46 - პროფესიულ მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაწესებულების ინფორმაციით, 2022-23 წლებში თსუ პროფესიული განათლების ცენტრში ვერიფიკაციის პროცესის წარმატებული პრაქტიკა დაინერგა. კერძოდ, ქ. ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო პროცესში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია ხორციელდება ქ. თბილისის ლოკაციის ადამიანური რესურსის (მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციული პერსონალის) მიერ და პირიქით. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მოკლედ შეეჯამებინა განხილული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ობიექტური შეფასებისათვის, ასევე, საბჭოს მხარდაჭერისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საექთნო განათლება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ქუთაისი) **(დანართი 11).** გადაწყვე ტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეთოთხმეტე საკითხი:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „Front-end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს ტიტე ბოლქვაძეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 16 ივლისს განხორციელდა ვიზიტი ქ. ქუთაისში. წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ავტორიზაციის ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი, დოკუმენტაცია და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი"**
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული აქვს პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას ითვალისწინებს, როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე, B სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებელს (გამტარუნარიანობას). ამასთან, მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია პროგრამის ორ ცვლაში

(დილას, საღამოს) განხორციელების შესაძლებლობა. თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას მე-2 შესახვევში №8-ში განლაგებულ ფილიალში მოწყობილი აქვს A და B გარემო 20-20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოებში განთავსებულია სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობა.
პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 10 მასწავლებელი, აქედან 5 განახორციელებს ზოგად, ხოლო 5 - პროფესიულ მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაწესებულების ინფორმაციით, 2022-23 წლებში თსუ პროფესიული განათლების ცენტრში ვერიფიკაციის პროცესის წარმატებული პრაქტიკა დაინერგა. კერძოდ, ქ. ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო პროცესში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია ხორციელდება ქ. თბილისის ლოკაციის ადამიანური რესურსის (მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციული პერსონალის) მიერ და პირიქით. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მოკლედ შეეჯამებინა განხილული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ობიექტური შეფასებისათვის, ასევე საბჭოს მხარდაჭერისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „Front end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. ქუთაისი).

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „Front end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. ქუთაისი) **(დანართი 12).** გადაწ ყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეთხუთმეტე საკითხი:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „Front end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. თბილისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს ტიტე ბოლქვაძეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს,

იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ანთაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 19 ივლისს განახორციელა ვიზიტი სსიპ- ''ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში" (მის: ქ. თბილისი, უნვერსიტეტის ქ. 2), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა დაწესებულების ადმინისტრაციის ხედვა დასამატებლად წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მასალები, მოხდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის დათვალიერება, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში. ვიზიტის ფარგლებში, დამატებით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტს ჯამში ჰყავს 26 000 სტუდენტი, ხოლო 500 პროფესიული სტუდენტი ორივე ლოკაციაზე (ქუთაისი, თბილისი). ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ სამომავლოდ იგეგმება კიდევ ერთი შენობის აშენება, რომელიც ასევე იქნება უნივერსიტეტის ნაწილი და ხელს შეუწყობს პროფესიული ცენტრის გაფართოვებას. გარდა ამისა გარკვეულ მიმართულებებზე შესაძლოა განიხილონ მოკლევადიანი პროგრამების დამატებაც.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.**
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front end დეველოპმენტი"**
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული აქვს პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას კონტიგენტის განსაზღვრისას გათვალისწინებული აქვს A / B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 20 სტუდენტი (ჯამში - 40 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში) და იგი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. A/B სასწავლო გარემო აუდიტორია #103 - 20 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც აღნიშნული პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით: 20 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის;
20 ერთეული პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის;

1 ერთეული მაგიდა/სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის; პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 10 მასწავლებელი, აქედან 7 განახორციელებს ზოგად, ხოლო 3 - პროფესიულ მოდულებს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, თსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მოკლედ შეეჯამებინა განხილული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ობიექტური შეფასებისათვის, ასევე საბჭოს მხარდაჭერისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „Front end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. თბილისი).
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „Front end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. თბილისი) **(დანართი 13).** გადა წყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**მეთექვსმეტე საკითხი:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. თბილისი).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

**საბჭოს წევრს ტიტე ბოლქვაძეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.**
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა ცენტრის ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება. დაწესებულებაში ვიზიტი განახორციელდა 2024 წლის 19 ივლისს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით:

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე), დარგის ექსპერტი თათია გივიშვილი, მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2.
ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ დაწესებულებებთან. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი.

**ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები.**

**გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.**
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“**
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული აქვს პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას ითვალისწინებს A, B სასწავლო გარემოებს, მათ გამტარუნარიანობას. დაწესებულებას კონკრეტული პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას გათვალისწინებული აქვს დადგენილი მეთოდოლოგიის მოთხოვნები. გამოყოფილია პროგრამისთვის A და B გარემო, რომლებიც აღჭურვილია სამუშაო ადგილებით პროფესიული განათლების მასწავლებლისა და 20 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამისთვის დადგენილი კვოტის 2 ცვლად ან ნაკადად სტუდენტთა მიღებას (20-20 პროფესიული სტუდენტი ჯგუფში ან ნაკადში).
დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს კლინიკური სწავლებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები შემდეგ პრაქტიკის/კლინიკური სწავლების ობიექტებთან:
1. შპს „გაგუას კლინიკა“,
2. შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ ,
3. ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“,
4. შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკოლოგიის პრევენციის ცენტრი“.
პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 55 პირი, მათ შორის 14 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, კლინიკური სწავლებისთვის 15, ხოლო 26 სხვა თეორიული თუ საბაზისო მეცნიერებების მოდულების განმახორციელებელი. პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტის მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, უმრავლეს შემთხვევაში - 3, ზოგში 4 პირიც. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. თსუ პროფესიული განათლების ცენტრის მიერ უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის სრულად ადაპტირებული სასწავლო გარემო და რესურსი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს: გამოკითხვებს, ინდივიდუალურ ან/და ჯგუფურ შეხვედრებს, გასაუბრებებს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროფესიული სტუდენტის შეფასების სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსით, სწორად შედგენილი შეფასების ინსტრუმენტითა და კალენდარული გეგმით, სალექციო პროცესზე, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებზე პერმანენტული დაკვირვებითა და პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან მუდმივი კომუნიკაციით. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას დანერგილი აქვს პროცესის განხორციელების პრაქტიკა, კერძოდ, თბილისის ლოკაციაზე სასწავლო პროცესში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია ხორციელდება ქ. ქუთაისის ფილიალის ადამიანური რესურსის (მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციული პერსონალის) მიერ და პირიქით. აღნიშნული პრაქტიკა სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს პროცესის სანდოობას და ობიექტურობას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რათა მოკლედ შეეჯამებინა განხილული საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ობიექტური შეფასებისათვის, ასევე საბჭოს მხარდაჭერისთვის. მართლაც მრავალი წელია უნივერსიტეტისთვის პროფესიული განათლება პრიორიტეტია და ამასთანავე დიდი შრომაა ჩადებული რეგიონული საგანმანათლებლო ჰაბების შექმნაშიც, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტის შევსებას და უნივერსიტეტი მაქსიმალურად ეცდება ყოველთვის ამ მიმართულების განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საექთნო განათლება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი (ქ. თბილისი).

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: (ს/კ: 204864548) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქ. თბილისი) **(დანართი 14).** გადაწყვე ტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.
**მეჩვიდმეტე საკითხი:** შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.
მისი განცხადებით, შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბუღალტრული აღრიცხვა" შემოწმების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 20 მაისის MES 6 24 0000548639 (ბრძანების ცვლილება MES 5 24 0000555351, 21.05.2024) ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), მაია ომიაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი), გიული გურგენიძე - დარგის ექსპერტი (წევრი), (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაევალა მიმდინარე წლის 30 და 31 მაისს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის

დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ.N30ა, შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯში (გეგმიური მონიტორინგი). ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და საოქმო გადაწყვეტილებას.
2024 წლის 24 მაისს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულების პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიუირების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.
2024 წლის 30 და 31 მაისს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (3 პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 3 პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (2 პირი). ვინაიდან კოლეჯში 2023 წლის შემოდგომაზე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა, დაწესებულებას კურსდამთავრებული არ ჰყავდა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია ვრცელი დასკვნა.
დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის № 00006505 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 6 თვე.

**გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**
მეხუთე სტანდარტი შეფასებულია უარყოფითად, ვინაიდან ინდიკატორი 5.2.2.3 არ არის დაკმაყოფილებული
კერძოდ, კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, გამოვლინდა, რომ 3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ფაქტი სისტემაში ასახული არ იყო (იხ. დანართი N2). შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არასრულად ხდება ინფორმაციის ასახვა. დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის №00006505 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა ფოტო მასალა ხარვეზის გამოსწორების დასტურად. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 9 მაისის N00004427 ბრძანების შინაარსის შესაბამისი მონაცემები (პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის ცვლილება) სისტემაში ასახა 2024 წლის 26 ივნისს, რითაც დაარღვია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და

ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 17/02/2021 წლის N11/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებამ სისტემაში ინფორმაცია ასახა კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და დასკვნის პროექტის წარდგენის შემდგომ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს მხედველობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება. ამასთან, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული აქტივობები არ არის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გაწერილი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, სტანდარტის კომპონენტის შეფასების სკალის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ინდიკატორის შეფასების სტატუსი მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეხუთე სტანდარტი ფასდება შეუსაბამოდ, ვინაიდან უარყოფითად ფასდება 5.2.2.3 ინდიკატორი.

**სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

4.1.2.2. დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის შერჩევის პოლიტიკისა და პროცედურების გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავებით შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვა და დასაქმება, განახორციელოს კოლეჯის პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ერთი კვირა.

4.2.1.1. დაწესებულებამ განახორციელოს პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ექვსი თვე.

4.2.1.2. დაწესებულებამ განახორციელოს პერსონალის განვითარება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ექვსი თვე.

5.1.2.1. დაწესებულების უზრუნველყოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვა, რაც დადასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების დაკვნით ან შესაბამისი მიწერილობით, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ექვსი თვე.

5.2.1.2. დაწესებულებამ შეიმუშაოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვაის მექანიზმები და გამოიყენოს პრაქტიკაში. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს ერთი კვირა.

**გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:**

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, თუმცა რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის წევრებად განსაზღვროს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები.
ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედეგენისას წინასწარ განსაზღვროს საორიენტაციო ფინანსური რესურსი ან/და დაფინანსების წყარო, რომელიც აისახება დაწესებულების ბიუჯეტში.
ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ წლის განმავლობაში ორჯერ ან კვარტალურად განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, ხოლო არანაკლებ სამ წელიწადში
ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგი და შეფასება, რაც დაეხმარება კოლეჯს დროულად დააიდენტიფიციროს სამოქმედო/სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შეუსრულებლობლის მიზეზები და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები.
ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა რეკომენდებულია:
1. დაზუსტდეს ფინანსური დავალიანების არსებობის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარემოება იმ პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებიც არ ფინანსდებიან „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების შესაბამისად;
2. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტებით არ განისაზღვროს შეცდომაში შემყვანი ის პროცედურები, რომელთა განხორციელების უფლებაც არ გააჩნია.
ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს მექანიზმები და პროცედურები მობილობით გადმოსული, სტატუსაღდგენილი და ყველა სხვა გარემოების არსებობისას, რა დროსაც პროფესიული სტუდენტი ვერ აგრძელებს სტანდარტული სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებას, ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.
ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, თუმცა დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებისა და პროცედურების ფორმალიზება, გაიწეროს ინიციატივების წარდგენის წესი, მათი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, მხარდაჭერისა და ანგარიშგების ეტაპები და სხვ.
ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, თუმცა რეკომენდებულია გადაიხედოს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმების იდენტიფიცირებისა და განვითარებისათვის, ასევე რეკომენდებულია კოლეჯის სერვისებით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს რელევანტურ პერიოდში, მაგალითად წელიწადში ორჯერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დრო (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე 2 კვირით ადრე) არ იძლევა გასაუმჯობესებელი მიმართულებების აღმოფხვრის შესაძლებლობას.
ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების სტრუქტურასა და დებულებაში დაზუსტდეს პოზიციების დასახელებები, ასევე შემუშავდეს დაწესებულების საშტატო განრიგი და განისაზღვროს საშტატო და შტატგარეშე ერთეულები ასეთის საჭიროების შემთხვევაში.
ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა რეკომენდებულია მკაფიოდ გაიმიჯნოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი არ ჩაერიოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში, აღნიშნული ფუნქცია სრულად განახორციელოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის მართვა.
ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას დაწესებულებამ დაიცვას საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული არსებითი პირობები და გაწეროს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობა.
ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, თუმცა რეკომენდებულია:
1. დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა);
2. ყველა პერსონალის პირად საქმეში განთავსდეს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ ;
3. თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში დასაქმების მსურველმა ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინონ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.
ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იხელმძღვანელოს პერსონალის მართვის პოლიტიკით დეკლარირებული ღირებულებებით და გააუმჯობესოს თანამშრომელთა ჩართულობა სხვადასხვა აქტივობასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს, მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით დაადენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის

გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.
ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს კოლეჯში ახალი პერსონალის ინტეგრაციის მექანიზმები, განსაზღვროს ახალ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის ადაპტაციის ეტაპები, შეიმუშაოს გეგმები, ანგიშები, პროცესის შეფასების ფორმები და სხვ.
ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმარულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.
ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკურის რესურსის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსის პერიოდული შეფასება, შედეგების ანალიზი, გაუმჯობესების გეგმის შედგენა და შესაბამისი აქტივობების ოპერატიული განხორციელება.
ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა რეკომენდებულია შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა განახორციელოს რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების მართვის დოკუმენტირება შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ასევე შეივსოს და გამოყენებულ იქნას „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის და მათი გამოყენების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი“, „პირველადი დახმარების ყუთის მასალის გახარჯვის აღრიცხვის ჟურნალი,“, „შრომის უსაფრთხოების სწავლების (ტრენინგის) ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი“ და სხვა.
ინდიკატორი **5.1.1.6** დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ აწარმოოს მასალა-ნედლეულის ხარჯვის კონტროლი, აღრი ცხვა და დოკუმენტირება.
ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, თუმცა რეკომენდებულია გამოკითხვის მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ასევე პერსონალის გამოკითხვის ჩატარება, ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.
ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში გამოიყენოს IT რესურსების მართვისა და რისკების შეფასების მექანიზმები“.
ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი კანონის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის

ინსპექტორი შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულებით. შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან თანამშრომლობა.
ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, თუმცა რეკომენდებულია გამოკითხვის მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა, ასევე პერსონალის გამოკითხვის ჩატარება, ანგარიშგება, გაუმჯობესების ღონისძიებების იდენტიფიცირება და საქმიანობაში გამოყენება.
ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებებაში არსებული საქმისწარმეობა განხორციელდეს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკის მიხედვით და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”).
ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა დაწესებულების ერთიანი დოკუმენტბრუნვის სანდოობის უზრუნველყოფისთვის სრულად ასახავდეს ყველა კატეგორიის დოკუმენტებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემაში - “eflow”.
ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დროულად ასახოს ინფორმაცია ვებგვერდზე, მათ შორის შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილება, პერსონალის შემადგენლობის განახლების თაობაზე ინფორმაცია და სხვ.
ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, თუმცა საერთაშორისო თანამშრომლობლიობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია შექმნას უცხოენოვანი ვებგვერდი.
ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულება დაარეგულიროს და საქმიანობაში გამოიყენოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის პარალელურად საკუთარი შესაძლებელობების შეფასება, კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალი, ეკონომიკური ფაქტორები, კონკურენცია და სხვა გარემოებები, რომელთა შესწავლის გზით განახორციელებს ამათუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას.
ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ თავად შეაფასოს საკუთარი რესურსი და დაასაბუთოს ამათუიმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობა.
ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.
ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, თუმცა რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტის შედგენისას მეტი სიზუსტით განხორციელდეს ხარჯებისა და შემოსავლების კალულაცია, რელევანტურად განისაზღვროს რენტაბელობის ზღვარი, ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ გააანალიზოს პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი ხარჯები და შედეგები გაითვალისწინოს მომდევნო ჯგუფის სწავლების პროცესის დაგეგმვისას.
ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა ვერიფიკაციის მექანიზმები საჭიროებს დახვეწას, კერძოდ რეკომენდებულია კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციას განახორციელოს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შევლენ დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ამასთან გათვალისწინებული იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

**ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

დაწესებულებამ მიმდინარე წლის 27 ივნისის № 00006505 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული მაქსიმალური ვადა არის 6 თვე.
ექსპერტთა ჯგუფი 5 ინდიკატორის (4.1.2.2; 4.2.1.1; 4.2.1.2; 5.1.2.1; 5.2.1.2) შეფასებისას ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, ხოლო 5.2.2.3 ინდიკატორის შეფასებისას ვერ გაითვალისწინა დაწესებულების პოზიცია, კერძოდ: კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში, გამოვლინდა, რომ 3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ფაქტი სისტემაში ასახული არ იყო (იხ. დანართი N2). შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არასრულად ხდება ინფორმაციის ასახვა. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 9 მაისის N00004427 ბრძანების შინაარსის შესაბამისი მონაცემები (პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის ცვლილება) სისტემაში ასახა 2024 წლის 26 ივნისს, რითაც დაარღვია „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 17/02/2021 წლის N11/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებამ სისტემაში ინფორმაცია ასახა კოლეჯში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და დასკვნის პროექტის წარდგენის შემდგომ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს მხედველობაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება. ამასთან, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული აქტივობები არ არის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმით გაწერილი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის შესაბამისად, სტანდარტის კომპონენტის შეფასების სკალის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ინდიკატორის შეფასების სტატუსი მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეხუთე სტანდარტი ფასდება შეუსაბამოდ, ვინაიდან უარყოფითად ფასდება 5.2.2.3 ინდიკატორი.

კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 26 ივნისის №00006420 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

ინდიკატორი 4.1.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზიისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და ერთ კვირაში შესრულებადია, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ვრცლად იხილეთ 4.1.2.2 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 4.2.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 4.2.1.1 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 4.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პერსონალის საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის ცალკეული აქტივობის შესრულებისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია, მთავარია დაწესებულებამ გააგრძელოს საქმიანობა მოცემული მიდგომების გათვალისწინებით. ვრცლად იხილეთ 4.2.1.2 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.1.2.1. მეტწილადაა დაკმაყოფილებული. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კოლეჯის მიერ სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დადებითი დაკვნის ან მიწერილობის არსებობისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 5.1.2.1. ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.2.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის დოკუმენტის შემუშავებისა და დაწესებულების მცირე მასშტაბის გათვალისწინებით IT რისკების შესაბისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და ერთ კვირაში შესრულებადია, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა და გამოიყენოს შემდგომ საქმიანობაში. ვრცლად იხილეთ 5.2.1.2. ინდიკატორის აღწერა.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

კოლეჯის სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯში დასტურდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა . დაწესებულება აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), რომლის გამოყენების თაობაზე კოლეჯის სტუდენტებისა და პერსონალისათვის ტარდება ინსტრუქტაჟი, რაც

დასტურდება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარების ჟურნალებით. კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროფესიულ სტუდენტებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები. დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "ბუღალტრული აღრიცხვა"**

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯმა ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშავა ძველი სტანდარტების შესაბამისად, ამიტომ დაწესებულებაში არ არის დარეგულირებული პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცედურები, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და კოლეჯის რესურსებთან შესაბამისობის კვლევები, შეფასებები და სხვა გარემოებები. კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელებისათვის აქვს როგორც მატერიალური, ისე ფინანსური რესურსი, ჰყავს კვალიფიციული პერსონალი და გაცნობითი პრაქტიკის მუდულის ფარგლებში თანამშრომლობს ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: შპს „შუშის სახლი" და აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტ ლუქს სერვისი". პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ბუღალტრული აღრიცხვა დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შემუშავების საფუძველი ჩარჩო დოკუმენტით „ბუღალტრული აღრიცხვა" განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ვინაიდან კოლეჯის ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ამოქმედებამდე, დაწესებულებას არ აქვს შედგენილი კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის დასაბუთების დოკუმენტი, თუმცა კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუანრიანობას, პერსონალის რაოდენობას. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, 40 პროფესიული სტუდენტის ერთობლივად მიღების შემთხვევაშიც. ბუღალტრული აღრიცხვა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, თუმცა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი რესურსით და პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე გაცნობითი პრაქტიკა-ბუღალტრული აღრიცხვა და პრაქტიკული პროექტი- ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება, პრაქტიკის კომპონენტის ერთობლივ განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - ბუღალტრული აღრიცხვა განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 (ექვსი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 (ექვსი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში ბუღალტრული აღრიცხვას პროგრამისთვის მოიაზრება 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსმ

პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას და პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოვლენილ ხარვეზთან დაკავშირებით მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ რა იყო ბაზაში მონაცემთა არასწორი ასახვის მიზეზი.
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მხრიდან აღნიშნულზე მხოლოდ ის კომენტარი გაკეთდა, რომ მაისის თვეში განხორციელებული ცვლილებები ბაზაში არასრულად იყო ასახული იმის გამო, რომ ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირი გარკვეული პირადი მიზეზების გამო არ იმყოფებოდა სამსახურში. ექსპერტის განცხადებით, ეს გარემოება შესაძლებელია მიჩნეულ იქნას, როგორც კოლეჯის პერსონალის გამოუცდელობა და ახალი სტანდარტებისა, თუ საკანონმდებლო მოთხოვნების არასათანადო ცოდნით განიმარტოს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ვინაიდან განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ზემოაღნიშნული ხარვეზი მთელი სტანდარტის დახარვეზებას გულისხმობს, რასაც საბოლოოდ ავტორიზაციის ჩამორთმევამდე მივყავართ, ექსპერტის პოზიცია როგორია იმის შესახებ, თუ რამდენად ახდენს პირდაპირ ზეგავლენას ეს საკითხი ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვაზე და სტუდენტთა მიერ ხარისხიანი განათლების მიღებაზე.
დარგის ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას სულ რაღაც 5 თვის დაწყებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროცესი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაზე, როდესაც განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი და შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო სივრცე ნამდვილად იძლევა პროგრამის განხორციელების საშუალებას, რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, მათი კვალიფიკაციაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით, თუმცაღა როგორც უკვე აღინიშნა დაწესებულებას ბევრი აქვს სამუშაო პროცესების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაფიქსირებული ხარვეზი შეიძლება ითქვას, რომ არ უნდა იყოს დაწესებულების შემაფერხებელი, რომ განაგრძოს მან ფუნქციონირება, ვინაიდან ეს ხარვეზი პირდაპირ არ აისახება სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდების საკითხზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.
ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი განხილულ საკითხთან დაკავშირებით, მისი განმარტებით ეს იყო გეგმიური მონიტორინგის წარმოება, რომელიც იმ პრინციპით იქნა ჩანიშნული, რომ დაწესებულებაში 2021 წლიდან არც ერთი მონიტორინგი არ განხორციელებულა, ასევე, დაწესებულებას არა უმეტეს სამი პროგრამა აქვს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ მომავალ წელს რეავტორიზაცია უწევთ, ამიტომ ცენტრის მხარდამჭერი მიდგომისა და პოზიციის შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგი დაწესებულებას დაეხმარება სრულყოფილ თვითშეფასებაში და რეავტორიზაციისთვის მომზადებაში. ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს დიდი გამოცდილება და მათი ადმინისტრაციაც ცვლილებების გამო გამოუცდელია ამ პროცესების მიმართ. ექსპერტების მიერ გაწეული დიდი შრომისა და გაცემული რეკომენდაციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას ახლა აქვს გზამკვლევი სწორი გზით განვითარებისათვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რათა კომენტარი გაეკეთებინათ განხილულ საკითხთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ეთანხმებიან ექსპერტთა მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას და მათი უმრავლესობა უკვე შესრულებულია, ასევე, მათი განცხადებით,

ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზის, კერძოდ, ბაზაში სტუდენტთა სტატუსის უზუსტობის შესახებ არსებობს ფინანსური დოკუმენტაცია მტკიცებულების სახით, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულებას ამ სტუდენტთა ვაუჩერი არ მიუღია.
საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ კვალიფიციური, დეტალური შეფასებისა და პროცესების აღწერის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ გამოვლენილი ხარვეზი პირდაპირ არ ახდენს ხარისხიანი განათლების მიწოდების პროცესზე ზეგავლენას, ამიტომ ამჯერად საბჭო მისცემს დაწესებულებას შესაძლებლობას რეავტორიზაციის გზით გამოასწოროს ყველა დაფიქსირებული ხარვეზი, ასევე გაითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციებს და მეტად მობილიზებული იქნება რეავტორიზაციის პროცესში, იმისათვის რომ განათლების ხარისხი მაღალ დონეზე იყოს უზრუნველყოფილი. საბჭოს შვიდმა წევრმა თანხმობა განაცხადა, რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება მონიტორინგთან დაკავშირებით, და კოლეჯს მიეცეს საშუალება რეავტორიზაციისთვის საფუძვლიანად მოემზადოს.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 1

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში (ს/კ:406250140) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 23 აგვისტო.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:45 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საავტომობილო გზების მშენებლობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 32 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 84 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | იმიტირებული-15<br>დუალური-15 |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის იმიტირებული-15 დუალური 15 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 83 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 98 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სამკერვალო წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0723 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | იმიტირებული-30<br>დუალური-30 |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | ჯამში 60 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის იმიტირებული- 30 დუალური - 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კონდიტერია |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | იმიტირებული-28<br>დუალური-13 |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | ჯამში 41 პროფესიული სტუდენტი მოდულური - 28 დუალური - 13 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 51 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ინფორმაციის ტექნოლოგია |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის N92ა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 61 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 76 |

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ტვირთების ექსპედირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში; |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 70 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 3**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საწყობის ოპერირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში; |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0416 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, თემქის მე-11 მ/რ, მე-3 კვ. ნაკვეთი 01/10 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 70 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 4**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ტვირთების ექსპედირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში; |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 5**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საწყობის ოპერირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში; |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0416 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 6**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0712 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 60 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |

**დანართი 7**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

**დანართი 8**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ტვირთების ექსპედირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, მ.კოსტავას ქ. №68 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 9**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საწყობის ოპერირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში; |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0416 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

დანართი 10

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ტვირთების ექსპედირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

დანართი 11

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

**დანართი 12**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | Front-end დეველოპმენტი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი №8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |

დანართი 13

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | Front-end დეველოპმენტი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი, უნვერსიტეტის ქ. N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |

**დანართი 14**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საეკლესიო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საეკლესიო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილის, უნივერსიტეტის ქ. N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |